გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

### ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის საავენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

თავადნი ლევან ლუარსაბის ძე და არჩილ ლევანის ძე თარხან-მოურავნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას და მეორე დედისა თვისისა, კნეინა ქეთევან ივანეს ასულის თარხან-მოურავისა, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ შაბათს, 20 თებერვალს, სოფელს ახალ-ქალაქში. მიცვალებულს დაასაფლავებენ სოფელ ერთაწმინდის ეკკლესიაში.
(2—2)

## ქართული თეატრი

დღეს, 19 თებერვალს,

«ქართულ დრამატიულ საზოგადოების» დასის მიერ ბ-ნ მ. ზავადსკის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### მზის დაბნელება საქართველოში

კომედია 3 მოქმედებად, ზ. ნ. ანტონოვისა.

### ბნელს ოთახში

ვოდევილი ერთს მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა, ჩერქეზიშვილისა და ბბ. აბაშიძე, მაქსიმიძე, ზავადსკი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ.

16 თებერვალს ფაეტონში დამრჩა

### თუნუქის ცხრუბა,

რომელშიაც შეხვეული პლანები ეწყო. ვინც იპოვა, ვსთხოვ მოიტანოს ნიკოლოოზის ქუჩაზე, ბუგიაში, სახლის № 101. საჩუქარს 25 მანათს მიიღებს. (2—1)

## ახალი ამბავი

*** გუშინდელ სათეატრო განცხადებაში, როგორც შევიტყეთ, შეცდომით იყო მოხსენებული დღე ქ. საფაროვი-აბაშიძის ბენეფისისა. დღე ამ ბენეფისისათვის ჯერ არ არის დანიშნული.

დრამატიულ საზოგადოების ბალი გამართული იქნება ყველიერის კვირას «ტფილისის საბრანიეში».

*** რადგან ამ ჟამად წვიმების გამო მტკვარი ძრიელ აიმღვრა ტფილისში, ხალხი წყაროს წყალს უფრო ეტანება. დღითი-დღე ემატება ქალაქს წყლის შემოსავალი.

*** ჩვენს რკინის გზას შემოსვლია წელს იანვრის განმავლობაში სულ 850,000 მანეთამდე.

*** სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორაში დიდ-ძალი თხოვნები შეაქვთ თურმე და თხოულობენ წლოვანების მოწმობას ისინი, რომელნიც უკანონოდ არიან ჩარიცხულნი ჯარის-კაცად მოსაწოდებელ სიაში. ამიტომ ზემოხსენებულს კანტორას უთხოვნია მთავარ-მმართებლის კანცელარიისათვის: განკარგულება მოახდინეთ, რომ სამხედრო პრისუტსტვიები უეჭველად სინოდის კანტორის მიერ შემოწმებულ წლოვანების მოწმობებს არა სთხოულობდნენ და სჯერდებოდნენ იმ მღვდლების მოწმობით, რომლის სამრევლოსაც ეკუთვნის წლოვანების ქაღალდის ამღები. ამ საგნის შესახებ ბ-ნს მთავარ-მმართებელს მიწერ-მოწერა ჰქონია პეტერბურგში და წარსულ თთვის მიწურულებში შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისაგან შემდეგი პასუხი მოსვლია: „რადგან ჯარის-კაცად მოსაწვევ სიების შედგენის დროს შეწყნარებულია წლოვანების მოწმობიდგან ამოწერილი ცნობანი მღვდლების მიერ, კანტორისაგან შეუმოწმებელნი, ამიტომ ის წლოვანების მოწმობაც უნდა შეიწყნაროს სამხედრო პრისუტსტვიამ, რომელზედაც მღვდლისა და საეკკლესიო კრებულს ხელი უწერიათ. ხოლო იმ შემთხვევებშიკი, თუ პრისუტსტვიამ ამ გვარ მოწმობის სიმართლეზე რაიმე ეჭვი აიღო, სინოდის კანტორის მიერ შემოწმებული ქაღალდი უნდა მოითხოვოს.

*** დიდი ამბავი ყოფილა გორში, როცა საჯარო ვაჭრობით გაუყიდნიათ ამილბარ მაღალაშვილის მამული, რომელიც გლეხ-კაცებს დარჩენიათ. ამ ვაჭრობის გარემოება დღევანდელს გაზეთშივეა საკმაოდ ვრცლად დაბეჭდილი გორიდამ მოწერილს ამბავად.

*** ნიგოითი (ოზურგეთის მაზრა): ნიგოითის სადგურიდგან წელიწადში ას ვაგონზე მეტი სიმინდი გააქვთ. შეშა და ნიგვზის (კაკლის) ტყე ხომ ძალიან ბევრი იგზავნება და აგრეთვე აქაურს ვაჭრებს კარგა ძალი საქონელი მოაქვთ თვით ნიგოითში. იმ საქონელსაც-კი, რომელიც ტფილისიდგან, ფოთიდგან და ბათუმიდგან მიდის ნაგომარში, ნიგოითზე გამოატარებენ ხოლმე. როგორც ჰხედავთ, ჩვენში კარგი ვაჭრობა და მისვლა-მოსვლაა, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოება ძალიან გვიშლის ხელსა მაგალითად, რკინის გზის სადგურს არა აქვს არც საქონლის საწყობი, არც ბაქანი (პლატფორმა), რომ ვაჭრებმა თავიანთი საქონელი დააწყონ და შეინახონ. საქონლის მომტანი და გამტანი იძულებულია უდარაჯოს საქონელს, თორემ ან ღორი შეუჭამს, ან კაცი მოჰპარავს, ან-და ქარი, ბუქი და წვიმა გაუფუჭებს. ამიტომაც ხშირად უსიამოვნება ჰხდება რკინის გზის მოსამსახურეთა და ვაჭრებს შორის. ყოველივე ეს მეტად აშკარა და შესამჩნევია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყურადღება არავის უთხოვებია.

## ფელეტონი

### ჩვენი საეკკლესიო სჯულ-მდებლობა.

ძეგლის წერა

I

წარჩინებულის დავით აღმაშენებლის მეფობა, სხვათა შორის, სჯულმდებლობითაც შესანიშნავია. ამ მეფის დროს იყო «წმინდა და ღვთივ შეკრებული კრება» და კრებამ კიდევ დაადგინა «ძეგლის წერა», რომელსაც ჩვენის სჯულ-მდებლობის ისტორიაში დიაღ თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს და რომელსაც თავის დროზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხოვრებაში. „ძეგლის წერა“ უძველესი და უპირველესი სჯულ-დება ჩვენის ეკკლესიისა, საქართველოს სასულიერო წოდების საუკეთესო წარმომადგენელთა მიერ დადგენილია და მარტო ამიტომ საყურადღებო უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც-კი ჩვენი წარსული უყვარს და მასში სასოებას ჰპოვებს. გარდა ამისა, «ძეგლის წერამ» [illegible]ოებით მაინც აღადგინა დაცემული ზნეობა ერისა, შინაგანი ცხოვრება განაახლა, წარმატების გზაზედ დააყენა. უმთავრეს საგნად «ძეგლის წერას» ხალხის დაცემულის ზნეობის აღდგენა ჰქონდა,—ამაშია იმისი დიდი მნიშვნელობა და ცხოველი ძალა. ჟამთა და დროთა ვითარება, მაშინდელის ცხოვრების საჭიროება ჰთხოულობდა, რომ მეფეს და უმაღლეს მთავრობას, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიეპყრათ ხალხის დაცემულ ზნე-ჩვეულებისათვის, საშუალება და ღონის-ძიება მოეპოვათ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების აღმოსაფხვრელად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ «წმიდა კრების» დროს საქართველოში გავრცელებული იყო მრავალ გვარი აჯ-კაცობა, ბოროტება და საკვირველი უფრო ისაა, რომ უმაღლესნი სასულიერო კაცნი და წარჩინებულნი მთავარნიც-კი ღრმად იყვნენ ჩაფლულნი ზნეობრივს განხრწნილებაში. ეს ზნეობრივი განხრწნილება, ეს საერთო სენი და ჭირი დავით აღმაშენებლის მამის დროს იყო გავრცელებული ხალხში[1]), მაგრამ ხასიათით სუსტმა და დაუდევარმა გიორგი მეორემ იმას ვერაფერი წამალი ვერ დასდო. და ან რას გააწყობდა რაინდი მეფე, რომელსაც ქეიფი და დროს გატარება უფრო ახსოვდა, ვიდრე ხალხისათვის ზრუნვა! დავით აღმაშენებელმა პირველადვე დაინახა, რომ დანგრეულს, გაოხრებულს სამეფოს ზნეობრივად განახლებაც უნდა და მარტო პოლიტიკური თავისუფლება საკმაო არ არის. შორს-მჭვრეტელი და გამჭრიახი მეფე ჰხედავდა, რომ სასულიერო წოდებას შეუძლიან ხალხის დაცემული ზნეობა აღადგინოს და ამიტომაც ამ წოდებას მიჰმართა. საჭირო იყო სასულიერო წოდების მიმხრობა და სწორედ ასეც მოიქცა მარჯვე და მოხერხებული მეფე. მეფემ დიდი სიკეთე და მოწყალება მიანიჭა სასულიერო წოდებას: მთლად ეს წოდება, იმისი ყმები და ეკკლესიები გაანთავისუფლა სახელმწიფო ხარჯისაგან, მხოლოდ ამის ნაცვლად ერთი რამე დაავალა სასულიერო წოდებას, სახელდობრ ისა, რომ ამ წოდებას ეზრუნა ხალხის ზნეობის გასასწორებლად, თვალ-ყური დაეჭირა იმის ყოფა-ქცევაზედ და რასაც-კი მავნებელს ზნე-ჩვეულებას შენიშნავდა ხალხის ცხოვრებაში, მეფისათვის მოეხსენებინა[2]).

მართალია, თვით სასულიერო წოდების უმრავლესობასაც შეჰყროდა საზოგადო სენი, ზნეობრივი სიწამხდრე, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ისევ ამ წოდებაში მოიპოვებოდნენ ზნეობიანნი კაცნი, რომელთაც შეეძლოთ ხალხის პატრონობა, იმის დაცემულის ზნეობის აღდგენა. საქართველოში სასულიერო წოდება არასოდეს არა ყოფილა ზნეობრივად ისე ღრმად დაცემული, რომ ხალხის ხელ-მძღვანელობა არ შესძლებოდეს. დავით აღმაშენებლის დროს ხომ ამ წოდებას მეტად შესანიშნავნი მოღვაწენი ჰყავდა. საკმაოა მოვიხსენიოთ იოანე კათოლიკოსი, არსენ იყალთოელი, გიორგი ჭყონდიდელი და სხ., რომელნიც ბრწყინვალე სხივს და ნათელს ჰფენენ დავით აღმაშენებლის დიდებულს მეფობას. მაგრამ გამჭრიახე მეფეს სხვა აზრი და განძრახვაცა ჰქონდა, როცა სასულიერო წოდება მოიმხრო,—იმას ჰსურდა მეტად გალაღებულ და თავ-გასულ არისტოკრატიისათვის ფრთები შეეკვეცა, მთავართა და ერისთავთა ძალა და მნიშვნელობა შეემცირა[3]). დავით აღმაშენებელს აზრად ჰქონდა ფეოდალური სილაღე და სითამამე აელაგმა, თვით ეს ფეოდალობა ტახტისათვის დაემორჩილებინა, მაგრამ ვერ-კი მიაღწია თავის წადილს. რასაკვირველია, როცა მეფე და «წმიდა კრება» სდევნიდნენ ისეთს გავლენიანს კაცს, როგორიც ლიპარიტ ორბელიანი იყო, საბუთად იმას ასახელებდნენ, რომ ლიპარიტმა მართლ-მადიდებლობას უღალატაო[4]). მაგრამ სხვა განძრახვაცა ჰქონდათ: მეფეს ჰსურდა, რომ კრებას სამშობლოდგან განეძევა მდიდარი და მძლავრი მთავარნი, განდევნილთა ქონება და მამული სახელმწიფოს დარჩენოდა და მერე ეს მამულები დაერიგებინა თავის მომხრეებისათვის[5]); სწორედ ასეც მოიქცა მეფე დავითი კახეთის შეერთების შემდეგ. მაშასადამე, «წმიდა და ღვთივ შეკრებულ კრებას» საკუთარის წადილის გარდა, სხვა პრაქტიკული მნიშვნელობაცა ჰქონდა: ეს კრება მეფისათვის პოლიტიკური იარაღი იყო, კრების სახელითა და შემწეობით მეფეს სწადდა გაეძლიერებინა სამეფო ტახტის მნიშვნელობა, ფეოდალების ძალა მოესპო, მთავარნი და ერისთავნი დაემორჩილებინა, დაესუსტებინა.

დავით აღმაშენებელმა, თუმცა ურიცხვს თავის გარეგანს მტრებს სძლია და განაძევა იგინი საქართველოდგან, მაგრამ შინაური მტერი, გალაღებული და ურჩი არისტოკრატია ისევ თავის ადგილას დარჩა: ფეოდალური წეს-წყობილება არა თუ შეირყა და დასუსტდა, არამედ, თამარ მეფის შემდეგ, ახალი ძალა მოიცა: დაწესდა მოხელეობის და თანამდებობის მემკვიდრეობით გარდაცემა, რომელიც წინად არ იყო და რომელმაც ფრთები შეასხა უამისოდაც მძლავრს ფეოდალებს. დიაღ, დიდებულმა მეფემ ვერ შეასრულა თავისი გულის განძრახვა, «ძეგლის წერამ» სამუდამოდ ვერ აღადგინა ერის დაცემული ზნეობა, მაგრამ მაინც ამ სჯულ-მდებლობამ დიდი კვალი გაავლო ჩვენს წარსულს ცხოვრებასა...

მართალია, «ძეგლის წერა» უფრო სასულიერო და საეკკლესიო წეს-წყობილებას აპყრობს ყურადღებას, იგი უფრო ებრძვის ზნეობრივს სენს და უკანონობას, რომელიც სასულიერო წოდებაში იყო გავრცელებული,

[1]) Баратовъ, Исторія Грузіи, тетрадь IV—V, стр. 1—5.

[2]) იქვე, стр. 11.

[3]) იქვე, стр. 36.

[4]) როგორც ჰფიქრობენ, ამ ლიპარიტმა მუსულმანობა მიიღო. ვახუშტის ისტორია, გვ. 173.

[5]) Баратовъ, იქვე გვ. 10.

⁂ თელავი: წარსულს კვირას განუწყვეტლივ თოვლ-ჭყაპის დენამ მთელი თელავი ერთ რაღაც ტალახის მორევს დაამგზავსა. განურჩევლად დიდ-პატარა ქუჩებისა ისეთი ტალახი გახლავთ მთლად თელავში, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა ფეხით სიარული. ან ოჩოფეხია საჭირო, ან ეტლი, ან ცხენი, რომ გაატანოთ ერთ ალაგიდამ მეორემდის. მართალია, ბ-ნ ქალაქის ბოქაულმა ბაზრის ქუჩა დაახვეტინა, მაგრამ ბაზრის ტალახი სხვა ქუჩების ტალახს მიემატა. ამას კიდევ ჯანი და სული წაუვიდეს, ნეტავ ქუჩებში ფარნები მარტო ქუჩის დასამშვენებლად არ იდგეს. თუ წინად საჭირო არ იყო ქუჩის განათება, ეხლა სწორედ რომ მეტისმეტად საჭიროა, რადგანაც მუხლებამდის ტალახია და კუმეტი სიბნელე-კი არის. იმის მაგივრად, რომ ჩვენვე გამოგვეყენებინა ფარნები, ჩიტები დაესაკუთრნენ და შიგა ჰბუდობენ.

⁂ სოხუმი: 21 თებერვალს აქ მოელიან სამხედრო სამსჯავროს, რომელმაც უნდა გაასამართლოს გენერალის ზავადსკის მკვლელები.

⁂ იქიდამვე: აქ დიდი ქურდობაა. მარტო სამურძაყანოში ნახევარ წლის განმავლობაში ათასი სული საქონელი მოუპარავთ.

⁂ აფხაზეთიდამ გვწერენ: თებერვლის შუა რიცხვებში კოდორსა და ოჩემჩირეს შუა სამჯერ მოხდა კაცის მკვლელობა.

⁂ გაზეთი „მწყემსი“ ამბობს, რომ უწმინდესმა სინოდმა დაავალა საქართველოს ყველა ეკლესიებს, დაიბარონ გაზეთი „საეკლესიო უწყება“ და ამისათვის სამ-სამი მანათი ჰგზავნონ. რაკი აქედამ მისწერეს სინოდს, რომ ზოგი ეკლესია ჩვენში ძრიელ ღარიბია, სხვა-და-სხვა გარდასახადით დატვირთულია და ახალი გარდასახადი სამძიმო იქნებაო, სინოდს შესაძლებელად უცვნია, ასეთს ღარიბს ეკლესიებს აღარ გამოერთვათ ეს ფული და რუსული გაზეთიც აღარ გაეგზავნოთო.

⁂ 17 თებერვალს რკინის გზის სადგურს ახლო მიწა ჩამოწვა და ქვეშ მოიტანა ამ გზაზედ მომუშავე სპარსეთის ქვეშევრდომი ჰაპუზა სარქისოვი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გორი.** ამ რამდენისამე ხნის წინად გორელები დიდს ფაცი-ფუცსა და ლოდინში იყვნენ. უნდა გაყიდულიყო «ტორგით» მამული ამილბარ მალალაშვილისა, რათა ამ გვარად აღებულის ფულით პასუხი მისცემოდა სხვა-და-სხვა მოვალეებს. სხვათა მოვალეთა შორის იყო ბ-ნი მ. დ—ცა, რომელმაც ამ გვარისავე ტორგის წყალობით ას თუმნად შეიძინა ძვირფასი მამული თ. ო. ა—ისა სოფელს ხიდისთავში. უნდა იცოდეთ, საიდამ მოევლინა ა. მალალაშვილის მამულს ეს მოვალე. ა. მალალაშვილს ჰმართებია სააკაძის ქვრივისა ორასი თუმანი. ქვრივს «ლისტები» უკვე ჰქონია აღებული სასამართლოდამ, მაგრამ მოჰრიდებია ამ საქმეში ჩარევასა და სამოც თუმნად მიუყიდნია ზემოხსენებულის მ. დ—სათვის. მ. დ—ი, რასაკვირველია, არ მოჰრიდებია საქმეს და დაუნიშვნინებია „ტორგი“. მოსულან სხვა მოვალენიცა ა. მალალაშვილისა და ფიქრი მისცემიათ: ვაითუ ეს უკვდავება მამული იაფად ფასად დაინარჩუნოს ვინმე, რომ ამდენს მოვალეებს არც-კი არა შეგვხდეს-რაო. გაჭირებიდამ ქ-ნმა ეკ. ყალამქაროვისამ დაიხსნა მოვალენი: ამ ადამიანმა შეატყობინა თითქმის ყველა ახლო-მახლო სოფლების გლეხებს, ვისაც მამული მალალაშვილისა ემხრობოდა, რომ მოდით ამა-და-ამ დროს, ასეთი-და-ასეთი მამული იყიდებაო. გლეხებიც დიდის ხალისით მოვიდნენ. დაიწყო ტორგი. დ—ი უწევს და უწევს ფასს და გლეხებიც ადიან მაღლა და მაღლა. დ—ი-კი არა, ხუთი და ათი დ—იც რომ ერთად შეერთებულიყო, გლეხებს ვერ აჯობებდა, ისე მოეწადინათ ამ ხალხს საერთოდ მამულის შეძენა. დ—ი დამარცხდა. გლეხებმა გაიმარჯვეს და დაინარჩუნეს მამული. გლეხთაგან მამულში აღებული ფული მოვალეებმა გაინაწილეს იმის დაგვარად, თუ ვისი რამდენი ემართა მამულის პატრონსა. ზემოხსენებული მამული თ. მიხეილ თარხნიშვილის მზრუნველობაში იყო და, როგორც სჩანს, ამ მზრუნველსაც წილი ჰქონია, რომ მამული უფრო იმათთვის მიუკერძნიათ, ვინც უფრო იცის იმისი ფასი და ვისი უპრიანიც უფრო არის, ესე იგი თვით გლეხთათვის.

## დედაკაცი

(არტურ შოპენჰაუერის აზრით)

იმ დროს, როდესაც მამაკაცთა შორის ჰსუფევს ბუნებრივად მხოლოდ უგულობა, ცივი მოშურობა, დედაკაცთა შორის მეფობს სრული მძულვარება. ქუჩაში რომ დედაკაცი დედაკაცს შეჰხვდება, ისე შეჰხედავენ ხოლმე ერთმანერთს, როგორც დაუძინებელნი მტერნი. ახლად გაცნობილი დედაკაცები დიდხანს ვერ ახერხებენ ლაპარაკს და იმათი ბაასი ისეთი გულ-ახდილი არ არის, როგორც მამაკაცთა ბაასი. ამიტომაც ერთმანერთის ქება და ალერსი დედაკაცებისა უფრო სასაცილოა, ვიდრე ჩვენი. მამაკაცი თავისზედ მცირე კაცს ელაპარაკება თავ-დაჭერით, ლმობიერად ეპყრობა და არა სასტიკად, ხოლო საზარელი სანახავია დედაკაცის ამპარტავნობა, ამაყობა, პრანჭვა-გრეხა, დაცინვა, როდესაც ის ესაუბრება თავისზედ მცირეს. ეს ალბად იმიტომ არის ასე, რომ დედაკაცის ხარისხოვანება საზოგადოებაში უბრალო შემთხვევაზეა დამოკიდებული. ჩვენთვის ათასი გარემოებაა საჭირო, რომ ცხოვრების კიბეზედ ან მაღლა ავცოცდეთ, ან ძირს ჩამოვიდეთ, ხოლო დედაკაცისათვის-კი ერთი რამა კმარა: სილამაზე. ისიც უნდა გითქვათ, რომ დედაკაცები უფრო დახლოვებულნი არიან ერთმანერთთან, ვიდრე მამაკაცები, და ამიტომ სცდილობენ განცალკევებასა და განაწილებასა.

**

დედაკაცი დაბალის ტანისაა, ვიწრო მხრები აქვს, ფართო თეძოები და ასეთი არსება მხოლოდ მამაკაცის გრძნობათა, ვნებით დაბრმავებულს თვალს შეეძლო ეცნო მშვენიერ სქესად, ლამაზ არსებად. უფრო მეტი საბუთი ჰქონდათ, რომ არა-ესტეტიური, უშნო სქესი ეწოდებინათ. მართლაც-და დედაკაცებს ჭეშმარიტად არც მუსიკა, არც პოეზია და არც სხვა რომელიმე ხელოვნება არ იზიდავს; თუ მაინც-და-მაინც ისინი მისდევენ ამ საგნებს, ეს მხოლოდ მაიმუნობით მოსდით, იმ აზრით, რომ თავი მოაწონონ მამაკაცებს. ამიტომაც არის ხოლმე, რომ დედაკაცები არ თანაუგრძნობენ იმას, რის სარგებლობასაც ამ თვითონვე ვერა ჰნახავენ. მამაკაცი სცდილობს მოიპოვოს ყველაფერზედ დამოუკიდებელი უფლება, ყველაფერი შეიგნოს, ყოველივეს სძლიოს. დედაკაცი მუდამ დამოკიდებულია ქმარზედ და თვით ის-კი ჰბატონობს და უფლობს დამოუკიდებლად ამ ქმარზედ. კიდეც ეს არის მიზეზი, რომ დედაკაცი ყოველს გარემოებასა და საგანს იმდენად აფასებს, რამდენადაც ეს გარემოება და საგანი დახმარებას აძლევს ქმრის მონახვასა და შოვნაში. მერე, ვინ არ იცის ესა. აბა თუნდა დააკვირდით და თვალ-ყური ადევნეთ დედაკაცებს კონცერტებსა და ოპერებსა და დრამებზედ და ჰნახავთ, როგორ ბავშვურად გულ-წრფელნი არიან, როგორ ტიკტიკებენ და ხითხითებენ მაშინ, როდესაც სცენაზე ასრულებენ საუკეთესო ადგილს რომელისამე წარჩინებულის და მსოფლიო ნაწარმოებისას. თუ მართალია, რომ ბერძნები არ უშვებდნენ დედაკაცებს დრამატიულს წარმოდგენებზედ, ძალიან საქებური წესი ჰქონიათ; თუ ასე იყო, იმათს თეატრებში წესიერებაც იქნებოდა. ან რას უნდა მოველოდეთ დედაკაცებისაგან, როდესაც საუკეთესო ნაწილს იმათის სქესისას არასოდეს არა შეუქმნია-რა ხეირიანი, ეგრედ წოდებულს მშვენიერ ხელოვნებაში და არ შეუქმნია და შეუმატნია ქვეყნისათვის ისეთი ნაწარმოები, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდეს. მხატვრობას, მაგალითებრ, ხომ კიდეც მისდევენ და არც ისე ძნელია, რომ ქალებს არ შეეძლოთ იმისი შესრულება, მაგრამ მაინც ვერ წარმოადგენენ ისეთს ნაწარმოებს, რომელზედაც შეიძლებოდეს კაცმა ყურადღება შეაჩეროს. ტყუილად-კი არ ამბობდა ერთი ფილოსოფოსი ამ სამ ასის

---

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველ დროს ეს წოდება მჭიდროდ შეკავშირებული და შეხორცებული იყო მთელს ერთან, სასულიერო წოდების წყლული და სენი მთელის ხალხის სენსა და წყლულს შეადგენდა. ამ მხრივ «ძეგლის წერას» საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, იგი საზოგადო კანონი და სჯული იყო მთელის ერისათვის. ასეც რომ არ იყოს, „ძეგლის წერა“ ზოგჯერ მაინც საერთო ბოროტს ებრძვის, ისეთს ბიწიერებას სდევნის, რომელიც ყველა წოდებას, მთელს ხალხს ზნეობრივად ჰხრწნიდა და არა მარტო სასულიერო წოდებას. მაგალითად, ასეთს საზოგადო ბოროტს შეადგენდა «სოდომური ცოდვა», «საძაგელი ბილწება»[6]). მაშასადამე, «ძეგლის წერა» მარტო ეკლესიური სჯულ-მდებლობა როდია, არა იგი სავალდებულო კანონია მთელის ერისათვის.

სხვაფრივაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს „ძეგლის წერას“. ეს ძეგლი პირველი ჩვენი ეროვნული ნაწარმოებია, ჩვენის საკუთარის აზროვნობის და მსჯელობის ნაყოფი. პირველად იმაში გამოიხატა ქართული სჯულ-მდებლობითი ნიჭი, პირველად „წმიდა და ღვთივ შეკრებულ კრებაზედ“ თავისუფლად გაისმა ძლიერი ქართული სიტყვა ბოროტის მოსასპობლად. ამიტომაც ამ უძველესს ძეგლს ცხადად ეტყობა ეროვნობის ბა» პირველი კრება იყო, რომელმაც ბეჭედი[7]). მართალია, „ძეგლის წერა“ იხსენიებს, რომ დავითმა სხვებს მიჰბაძა და კრება მოიწვიაო, მაგრამ ამ კრების დადგენება მიბაძვა არ იყო, კრება საკუთარის აზრით ჰსჯიდა, თავისუფლად მოქმედებდა. «წმიდა კრება» საბერძნეთის ეკლესიის გავლენა მოიშორა, იმასთან ყოველ გვარი დამოკიდებულობა და კავშირი მოსპო. ამიტომაც «ძეგლის წერა» ნამდვილი ქართული სჯულ-მდებლობაა, როგორც «წმიდა და ღვთივ შეკრებული კრება» ნამდვილი ქართული კრებაა.

თუმცა საქართველოს ეკლესია ჯერ ისევ ვახტანგ გორგასლანის დროს შეიქმნა ავტოკეფალ, დამოუკიდებელ ეკლესიად, ანტიოქიის პატრიარქის ბრძანებლობა და უფლება მოიშორა, მაგრამ მაინც-კი საბერძნეთის ეკლესიის გავლენის ქვეშ იყო[8]), ზოგჯერ საყვედურიც-კი ესმოდა ამ ეკლესიის წარმომადგენელთაგან.

მართალია, ჯერ ისევ მეფე სტეფანოზ II დროს დაარსდა «საკათალიკოზო კრება ყოველთა ხუთშაბათთა[9])» და კათალიკოზი ხომ საქართველოს ეკლესიის თვით-მპყრობელი პატრონი და გამგებელი იყო, მაგრამ კათალიკოზის იურიდიული ძალა და ადგილობრივი დიდი მნიშვნელობა კიდევ იმას არა ჰნიშნავდა, რომ საბერძნეთის ეკლესიას გავლენა არა ჰქონდა «ივერიის» ავტოკეფალ ეკლესიასა და კათალიკოზზედ. მეტადრე ეს გავლენა ძლიერი იყო ხოლმე მაშინ, როცა საქართველო პოლიტიკურად ასე თუ ისე ემორჩილებოდა ბიზანტიას. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე დავით აღმაშენებელი არ აღადგენდა გაოხრებულს სამეფოს, ბიზანტიას დიდი გავლენა ჰქონდა დასავლეთ საქართველოზედ და, მაშასადამე, საქართველოს საეკლესიო საქმეებშიაც მონაწილეობას იღებდა. შემდეგ ხანგრძლივის პოლიტიკურის მონებისა, დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა გარეშე მტრებისაგან მთლად საქართველო, ამიერი იმიერს შეუერთა, ეროვნული ცხოვრება თავისუფლების გზაზედ დააყენა. რასაკვირველია, ამ გარემოებამ დიდი ზედ-მოქმედება იქონია საქართველოს ეკლესიაზედ და ეს უკანასკნელიც სრულიად განთავისუფლდა ბიზანტიის მორჩილებისაგან. მხოლოდ საერო პოლიტიკურმა ძალამ შეჰქმნა ნამდვილი საეკლესიო თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ თავისუფლების და დამოუკიდებლობის შედეგი იყო «წმიდა კრება» თავისის ძეგლითურთ. «ძეგლის წერის» წინად, რასაკვირველია, ჩვენი ეკლესიაც კანონებით ხელმძღვანელობდა, წმიდათა მამათა და მსოფლიო კრებათა რომ კანონებიც და სწავლაც სხვაგნებურნი იყვნენ. როგორც სამოქალაქო ცხოვრებაში[10]), ისრე საეკლესიოში, ჩვენის აზრით, ხელმძღვანელობდნენ ბერძენ-რომაელთა კანონებით, «ძეგლის წერის» ადრე საქართველოს ეკლესიას საკუთარი კანონი არა ჰქონია, როგორც «ძეგლის დების» წინად საქართველოს სამეფოს არა ჰქონდა საკუთარი საერო სჯულდება. ამიტომაც რაც «ძეგლის წერა» იყო ეკლესიისათვის, ის შემდეგში, გიორგი ბრწყინვალის დროს, «ძეგლის დება» იყო სამეფოსა და ერისათვის. საყურადღებოა, რომ ეს ორივე ძეგლი ხალხის დაცემულ ზნეობის აღსადგენად დაიწერა. როგორც «წმიდა კრება» «დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა», აგრეთვე «ძეგლის დებას» აზრად ჰქონდა აღმოეფხვრა მრავალ გვარი ავ-კაცობა, ბოროტ-მოქმედება, სახელდობრ: მკვლელობა, ქმრიან დედაკაცის მოტაცება, ცოლ-ქმრობრივის კავშირის დარღვევა, ციხე-სიმაგრეთა შლილობა და სხვა.

### II

„წმიდა და ღვთივ შეკრებული კრება“, რომელმაც დაადგინა ძეგლი, მოხდა, ვახუშტის სიტყვით, 1103 წელსა — „ჰქმნა კრება წელსა 1103, ქართულსა 323“. ჩვენი მატიანე პირდაპირ არ ასახელებს, როდის და სად იყო «წმინდა კრება», იგი მხოლოდ საზოგადოდ ამბობს «ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსაო»[11]), მაგრამ ჟამი და ადგილი ჯეროვანი ხომ არაფერს აჩვენებს, არაფერს განმარტავს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საბუთი არა გვაქვს ვახუშტის მიერ დასახელებული წელიწადი უარ-ვყოთ და ეს იმიტომ უფრო, რომ ვახუშტი ისტორიულ ამბებს იმავე რიგზედ მოგვითხრობს, როგორს რიგსაც ქართლის ცხოვრების ქრონოლოგია მისდევს. უფრო საძნელოა მეორე საგნის განმარტება, სახელდობრ იმისი — სად, რა ადგილას იყო «წმიდა კრება». თუმცა თვით «ძეგლის წერა» ამბობს, რომ კრება იყო «სანახებთა[12]) ქართლისათა, მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისა», მაგრამ სიტყვა «მახლობლად» ხომ კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ სწორედ ამა-და-ამ ადგილას იყო კრებაო; რუისის და ურბნისის «მახლობლად» შეიძლება ბევრი ისეთი ადგილი ყოფილიყოს, სადაც კრებას შეეძლო შეკრებილიყო. მაშასადამე, „მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა“ სრულებითაც არ გვიჩვენებს, ნამდვილად რომელ ადგილას იყო კრება. ავტორი «საქართველოს სამოთხისა», ბ-ნი საბინინი ჰფიქრობს, რომ «წმიდა კრება მცხეთის საკათალიკოზო ეკლესიაში იყოვო. პირველის შეხედულებით მკითხველმა

---

6) „გამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკს, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიოსა, მღვდელთა და უმღვდელოთა, მოწესეთა და ერის კაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუა კაცთა...

7) მაგალითებრ, მესამე მუხლი „ძეგლის წერისა“ პირდაპირ ამბობს, რომ ხელთ დასხმა, ეკლესიის კურთხევა და სხვა ამ გვარი საეკლესიო წესი ისე უნდა იყოს, როგორც ჩვენი ნეტარ-ხსენებული მამა გიორგი მთაწმინდელი დაგვიწერსო.

8) Ист. Груз. Цер., П. Іоселіани, стр. 142—147. სხვათა შორის, ამ გავლენას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ საქართველოს კათალიკოსის სამსჯავროში მისაცემად საჭირო იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნება-რთვა.

9) ქართლის ცხოვრება, ნაწ. პირ., გვ. 169, 171. „და იყოს კათალიკოზი ქართ-

10) Баратовъ, იქვე стр. 33, სადაც წარმოთქმულია ის აზრი, რომ რომაელების და ბერძნების სჯულდებას ძალა ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში. ამ სჯულდებამ გავლენა იქონია ჩვენს საკუთარს კანონებზედ და ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენი წარსული ცხოვრება, ვიდრე საკუთარი სჯულდება არა გვქონდა, ბერძენ-რომაელთა

11) ქართლის ცხოვრება, გვ. 242.

12) როგორც საბა ორბელიანი განმარტებს, სიტყვა სანახები ჰნიშნავს: ახლო-მახლო.

წლის წინად, რომ ქალებს არავითარი ნიჭი არა აქვთო. ერთი და ორი კერძო მაგალითი, რასაკვირველია, ვერ დაარღვევს ზოგადს კანონს და ქალები-კი საზოგადოდ, უნდა აღვიაროთ, იყვნენ და არიან უცოდინარები. ქმარი არც-კი აქცევს ყურადღებას თავის ხარისხს და წოდებას და ცოლი-კი სცდილობს ერთი-ათად გააპტყელოს და ამით დაიკმაყოფილოს თავისი არა-კეთილშობილური თავმოყვარეობა. ამავე მიზეზის გამო დედაკაცის უპირატესობა და ბატონობა მამაკაცზედ აწინდელის საზოგადოების სიწამხდრედ უნდა ჩაითვალოს. დედაკაცი ყოველის მხრივ დაბლა სდგას მამაკაცზედ, ყოვლად სუსტი არსებაა და ჩვენ უნდა შევიწყნაროთ, შევიბრალოთ იგი სისუსტე და არა გავიღმერთოთ და ან ვათაყვანოთ. ეს ხომ სისულელე იქნებოდა და უწინარეს ყოვლისა იგი დედაკაცთა თვალშივე დაგვამცირებდა.

სწორედ ასეთის აზრისანი იყვნენ დედაკაცზედ უწინდელს დროში და ასევე ჰფიქრობენ დღესაც აღმოსავლეთში; კიდეც ამიტომ არის, რომ იმათ ჩვენზედ უკეთესად აქვთ განსაზღვრული, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს დედაკაცს ცხოვრებაში. ფრიად საჭიროა, რომ ევროპაშიაც ასევე მოექცნენ დედაკაცებს, ადრინდელივე მნიშვნელობა დაუბრუნონ და ბოლო მოუღონ იმათს უწესურს ქცევას. დედაკაცის გაბატონებას დასცინის არა თუ მთელი აზია, არამედ დასცინოდნენ ძველი რომიცა და საბერძნეთიც. ამ გვარს ცვლილებას უეჭველია გავლენა ექნებოდა ჩვენს მოქალაქობრივს და პოლიტიკურს ცხოვრებაზედ, ბევრი რამ შეიცვლებოდა სასიკეთოდ. აწინდელი ევროპიელი ქალი არის არსება, რომელიც, თუ სამართალია, არ უნდა არსებობდეს. დედაკაცები უნდა იყვნენ კარგი ოჯახის პატრონები, მშობლები, უნდა ოჯახის განკარგებას და გაუკეთესებას სცდილობდნენ და არა ცრუ თავ-მოყვარეობა და ამაყობა ჰქონდეთ ფიქრად.

ბიძია

# უცხოეთი

**იტალია.** მთავრობას უნდა სთხოვოს დეპუტატთა პალატას, გადასდოს კიდევ სამხედრო საჭიროებისათვის 24 მილიონი ლირა.

— ნეაპოლში მთავრობას საიდუმლო წერილი გაუგზავნია რომიდამ და უთხოვნია, დააჩქარეთ შეთოფ-იარაღება გემებისა და ჯარისაო. ცხადადა სჩანს, რომ აფრიკაში გალაშქრებისათვის არ ეჩქარებიან ისე იტალიელებიო. მზადდება სამი ესკადრა მინონოსკები; ამზადებენ რამდენსამე დიდს ჯავშნიანს სამხედრო ხომალდს. ერთი დიდი გემი დაჭრილთა და დაკოდილთათვის არის მომზადებული. ნეაპოლის სამკურნალოებს ადიდებენ და აფართოვებენ.

**ბოლგარია.** ბოლგარიის მთავრობას შეუკვეთნია ბრიუსელში 15 მილიონი სროლა თოფის წამალი.

— გერმანიის გაზეთებს, ბისმარკის გაზეთს გარდა, არა სჯერათ, რომ ბოლგარიის საქმის გამო მოლაპარაკებიდამ გამოვიდეს რამე. შეიძლება, რომ ყველა დიდნი სახელმწიფონი დასთანხმდნენ და სთხოვონ ოსმალეთს, უკანონოდ სცან პრინც ფერდინანდის ამორჩევა მთავრადაო; მაგრამ ეს თხოვნა ცარიელ თხოვნად დარჩება, იმიტომრომ ოსმალეთს სრულიად არავითარი სურვილი არა აქვს მალ-მომრეობით იმოქმედოს ბოლგარიაში და თავისი სიტყვა საქმედ აქციოს. ამისათვის არც საჭირო ფული და ღონის-ძიება აქვს. პრინცი ფერდინანდიც, რასაკვირველია, არ წავა ბოლგარიიდამ, თუ ოსმალეთმა ხმალი არ ამოიღო და ან თუ რუსეთმა ხიშტი არ მოუღერაო. თვით ბოლგარნი ხომ არ მოინდომებენ თავიანთ მთავრის გადაყენებას. ბოლგარიის ჯარი მალიან კმაყოფილია ეხლა და სრულიად არა ჰსურს შესცვალოს დღევანდელი წეს-წყობილებაო.

**საფრანგეთი.** ამას წინად გარეშე საქმეთა მინისტრი ფლურანსი წავიდა აღმოსავლეთისკენ, ზემო ალპებში და იქ რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა თავის ამომრჩეველთა წინაშე. ეს სიტყვები გააზვიადეს და ათას ნაირი განზრახვა მიაწერეს მინისტრსა. როცა მინისტრი დაბრუნდა პარიჟში და შეიტყო ეს მითქმა-მოთქმა, სადიპლომატო კრებულის წინაშე გაიმართლა თავი და სთქვა შემდეგი:

ჯერ ერთი, რომ მე არავითარი სიტყვა არ წარმომითქვამს ზემო ალპებში და არც მეცალა ამისათვის. ვესაუბრებოდი მხოლოდ ჩემს ამომრჩეველთ, რათა მომეგო იმათი გული და მალე დავბრუნებულიყავი უკანვე. ამ საუბრის დროს, მართალია, ისე არ ვიქცეოდი, როგორც მინისტრი და ორატორი, მაგრამ იმას-კი ვსცდილობდი, რომ ჩემი აზრი და შეხედულება ცხადად გარდამეცა ხალხისათვის. იქაური ხალხი საზღვარზე სცხოვრობს და როგორც მთელის საფრანგეთის ერი, ისე იქაურებიც ომის ლოდინით არიან დაღლეულები. ამიტომ რაღა საკვირველია, რომ ეკითხნათ გარეშე საქმეთა მინისტრისათვის—არის საფუძველი თუ არა, რომ ომი იქნებაო. მე რასაკვირველია, პასუხი მივეცი. რაღა თქმა უნდა, ბუკი და ნაღარა არ დავკარი და არ ავაღელვე უიმისოდაც აღელვებულნი მოსაზღვრე მკვიდრნი, არამედ ვუთხარი: უკეთუ საფრანგეთს თავს დაესხმიან, საფრანგეთი მხოლოდ თავის დაწესებულებათა დახმარებით გაიმარჯვებს-მეთქი. ამით ის მინდოდა მეთქვა, რომ საჭიროა ყველა რესპუბლიკელნი შევერთდეთ და მამულის სიყვარულით ერთის დროშის ქვეშ მოვიყაროთ თავი-მეთქი. არ მესმის, როგორ უნდა დაასკვნას ამ სიტყვებიდამ კაცმა, რომ ვითომ მე საომრად ვაქეზებდი ზემო ალპების ამომრჩევლებს! მე ვლაპარაკობდი მხოლოდ შინაგან საქმეთა მდგომარეობაზე. ვამბობდი, რომ ჩვენს საზღვარს ემუქრებიან და იმის დასაცველად უნდა ვიყვნეთ-მეთქი მზად. ზოგი იმაში მდებს ბრალსა, რომ იტალიის საზღვრებს ავუარე და იტალიის ციხე-სიმაგრენი დავათვალიერე, მე-კი არამც თუ იტალიისა, საფრანგეთის ციხეებიც არ დამითვალიერებია. ან რა ჩემი საქმე იყო ესა და ან რა ვიცი, ციხე-სიმაგრენი როგორ უნდა იყვნენ მოწყობილნი. მე ვსთქვი მხოლოდ, რომ საუკეთესო ციხე-სიმაგრე მამულის შვილთა შეერთება და შეკავშირებაა-მეთქი, მაგრამ ამ შემთხვევაში იტალია სახეში არა მქონია. მე დიდად ვაფასებ იტალიის მეგობრობას და თუ ჩვენ შორის არიან ისეთნი, რომელნიც სხვა აზრს ადგანან, მე კერძოდ იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი. ისიც მართალია, რომ მე ვსთქვი, საჭიროა ჩვენი ზრუნვა სამხედრო სამსახურისათვის მოვიცალოთ-მეთქი, შეთოფ-იარაღებისათვის თავი გამოვიდოთ-მეთქი, მაგრამ აქ რა არის გასაკიცხი? მაშ სხვა რა უნდა მეთქვა მოსაზღვრე, განაპირა მკვიდრთათვის, იმ მკვიდრთათვის, რომელნიც მუდამ მამაცნი და გულადნი უნდა იყვნენ, რაკი ბედს ქვეყნის სადარაჯო მიჯნაზე დაუსახლებია; რომელნიც უნდა ჰზრდიდნენ და აძლიერებდნენ თავიანთ გრძნობასა მამულისა და სამშობლოს სიყვარულისას და რომელთა თავგანწირულებას უნდა ჩვენც ვაქეზებდეთ და ვიწონებდეთ.

<>

# დეპეშა

17 თებერვალი

**ბერლინი.** სოფიიდგან მიღებულ დეპეშიდგან სჩანს, რომ იმ წინადადებამ, რომელიც რუსეთის ელჩმა ნელიდოვმა წარუდგინა ოსმალეთს, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სოფიაშიო: ბოლგარიის მმართველნი სასოწარკვეთილებაში არიან, თუმცა იმისა ჰლაპარაკობენ, რომ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთო. სადიპლომატო წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ თუ ვენიცობაა სახელმწიფონი მტკიცედ მოითხოვენ კობურგის გაძევებას, მაშინ თვით ბოლგარნი ურჩევენ პრინცს ბოლგარიას თავი დაანებოსო.

**მადრიდი.** როგორც ისმის, მცირეწლოვანი მეფე ავად გამხდარა წითელით.

**პარიჟი.** იტალიის საწინააღმდეგო ბაჟი ხვალვე შემოღებული იქნება, თუ რომ იტალიამ თავისი არ დაიშალა.

18 თებერვალი

**პეტერბურგი.** გაზეთი „Русское Дѣло“ გააფრთხილეს იმიტომ რომ უსაბუთოდ და უკადრისად იხსენიებდა ზოგიერთ სახელმწიფოთა დაწესებულებათა და მართებლობის მოქმედებას.

**პარიჟი.** გარდაწყვეტილია ხელ-ახლად დააწესონ საელჩო ვატიკანში საფრანგეთის ინტერესების დასაცველად აღმოსავლეთში.

**ბერლინი.** პრინცი ვილჰელმი წავიდა სან-რემოში ავადმყოფ მამის სანახავად.

**რომი.** კრისპიმ პალატაში სთქვა: თუმცა საჭიროა საფრანგეთს წინააღმდეგობა გავუწიოთ ბაჟის შემოღებათაო, მაგრამ მაინც სასურველია საფრანგეთთან მეგობრობა გვქონდე-

---

იქნება კიდეც დაიჯეროს ავტორის აზრი, მაგრამ, ძიებისა და გამოკვლევის შემდეგ, იგი აზრი უსაფუძვლო აღმოჩნდება. აი რისთვის: პირველად ესა, რომ კრება იყო მახლობლად საეპისკოპოსოთა ურბნისისა და რუისისა, მცხეთა-კი არც ერთზედ და არც მეორეზედ «მახლობლად» არ არის; მეორედ—მცხეთაში კრება შეუძლებელი იყო, რადგანაც ქ. ტფილისი ჯერ ისევ ძლიერის მტრის ხელში იმყოფებოდა და ამ მტერს ხელთ ეჭირა მთელი ადგილი ტფილისიდამ ს. ავჭალამდე; 13) ძნელად დასაჯერებელია, რომ დიდს კრებას, რომელზედაც ყველა საუკეთესო სასულიერო კაცნი დაესწრნენ, თავი მოეყარა მტრების მახლობლად, სიფრთხილე დაევიწყა; მესამედ—ბ-ნი ავტორი თავის მეტად საეჭვო შეხედულობას „ძეგლის წერის“ ისეთ სიტყვებზედ აფუძნებს, რომელთაც სულ სხვა აზრი აქეთ, სხვა მნიშვნელობა 14). მაშასადამე, ჩვენ დაბეჯითებით არ ვიცით, სახელდობრ სად, რომელს ადგილას მოხდა კრება.

კრებაზე დაესწრო ყველა ღირსეული სასულიერო კაცი: «შემოკრბა კრება ღვთის მოყვარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღვდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს მოყვარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა». ჰსჩანს, რომ ძველ დროს ჩვენი საეკლესიო წესდება და კანონი თანასწორს უფლებას ანიჭებდა სასულიერო წოდების თვითეულს წევრს, რადგანაც კრებაზე ყველას ნება ჰქონდა ბჭობისა საეკლესიო და სამღვთო საგნების შესახებ; რასაკვირველია, ყველა კრებისათვის თავ-მჯდომარეა საჭირო; ჩვეულებისამებრ, თავ-მჯდომარე ყოველთვის კათალიკოზი იყო ხოლმე, და «წმიდა კრებაზედაც» წინამძღვრობა იმას ეკუთვნოდა; ამიტომაც წინამძღვრად პირველისა მის კრების იყო... იოანე, ყოვლად ღირსი მთავარ-ეპისკოპოსი, კათალიკოზი და ყოვლისა საქართველოისა მამათ-მთავარი 15). კრებაზედ თვით მეფე დავით აღმაშენებელიც დაესწრო, მაგრამ, როგორც ამბობს ვახუშტი, «არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა». რად?—საქმე ისაა, რომ ძველ საქართველოში მეფესა და კათალიკოზის შორის არა რაიმე დამოკიდებულება არ იყო, იგინი ერთი ერთმანერთს არ ექვემდებარებოდნენ, არ ემორჩილებოდნენ; ერთი ხორცის ხელმწიფე იყო და მეორე სულისა; სამოქალაქო სამართალიც ამას აღიარებდა, ერთსა და იმავე ღირსებას, უფლებას, ძალას აკუთვნებდა მეფესა და კათალიკოზსა—«მეფის და კათალიკოზის საქმე... ორისავე სწორი არის, ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა, კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცთაგანაცა სწორე აქვსთ» (ვახტ. სამ. მუხ. კე). მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რომ კათალიკოზი „სულის ხელმწიფე“ იყო, შესანიშნავი და საყურადღებო უფრო ისაა, რომ კათალიკოზს საერო, სამოქალაქო ძალაცა ჰქონდა, თავის საბძანებელში, სულის გარდა, «ხორცის ხელმწიფეც» იყო, ასე რომ კათალიკოზობა სასულიერო წოდებითურთ შეადგენდა ცალკე სამეფოს სახელმწიფოში 16), სწორედ ისე, როგორც საშუალო საუკუნოების დროს დასავლეთ ევროპაში იყო. მეფეს, «ხორცის ხელმწიფეს» ხელი არ მიუწვდებოდა კათალიკოზის საბძანებელზედ, სამფლობელოზედ და, რასაკვირველია, სრულებით არა ეკითხებოდა-რა საეკლესიო საქმეებისა, მეტადრე ისეთისა, როგორიც განიხილა «წმიდა კრებამ»; სჯულ-მდებლობა, საეკლესიო გამგეობა კათალიკოზისა და სხვა სასულიერო კაცთა მოვალეობას შეადგენდა და კიდეც ამიტომ თვით უდიდესი მეფე საქართველოსი წმიდა კრებაზედ «მჯდომი იყო არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა»...

თუმცა კრებაზედ მეფე მჯდომი იყო «ვითარცა მონა», მაგრამ ამ კრების სჯულ-დება, ძეგლი დიდის პატივითა და ღირსებით ამკობს დავით აღმაშენებელს: «კეთილ დიდ არს, ვითარცა გმირი, მშვენიერ არს, ვითარცა სიძე, ბრწყინვალე არს, ვითარცა ცისკარი, ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ, ვითარცა აღმოსავალი, ყვავილოვან წარმატებათა მიერ, ვითარცა სამოთხე ღვთისა». „ძეგლის წერა“ არ იხსენიებს, თუ რამდენი კაცი შეადგენდა კრებას, მაგრამ ჰსჩანს-კი, რომ კრებაზედ მრავალნი უნდა დასწრებოდნენ; ვინც-კი პატიოსანი სასულიერო მოღვაწე მოიპოვებოდა, ვინც-კი თავის ზნეობრივის ყოფა-ქცევით გაირჩეოდა სხვებისაგან და მოშორებული იყო მაშინდელს ბიწიერებასა და განხრწნილებას, ყველა კრების წევრად შეიქმნა, ყველა კრებაზედ მივიდა. ჯერ ერთი ესა, რომ, როგორც შევნიშნეთ, ძველმა საეკლესიო ჩვეულებამ არ იცოდა განსხვავება მაღალ-ხარისხოვან და მდაბალ-ხარისხოვან კაცთა შორის და ყველას უფლება ჰქონდა კრებას დასწრებოდა, მეორედ—თვით «წმიდა კრების» მოვალეობა და საგანი ისეთის მნიშვნელობისა იყო, რომ მიუცილებლად ბლომად უნდა დასწრებოდა ერი: სხვათა შორის, როგორც ამბობს «ქართლის ცხოვრება», „უღირსად გამოჩინებულნი გარდამოსთხივნეს საყდართაგან და შეაჩვენეს, დალათუ არა ადვილ იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთაც უწესოდ დაიპყრნეს საყდრები“. თუ ყოველივე ეს ადვილი არ იყო, მაშ კრებაც ადვილად ვერ მოეკიდებოდა საქმეს და ამიტომაც იგივე მატიანე გვარწმუნებს—„ესე ვითართა დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა კრება, ერი მრავალი...“ გარდა ამისა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველ დროს საქართველოში სასულიერო წოდება რიცხვით მრავალი იყო; სარწმუნოებრივი გრძნობა, აზრი ხალხს ღრმადა ჰქონდა შეთვისებული, სარწმუნოება მთლად იზიდავდა ქართველის სულსა და გულს და ეს გარემოება კიდევ მეტად ხელს უწყობდა სასულიერო წოდების გაძლიერებას, მღვდელთ-მონოზანთა გამრავლებას 17). რასაკვირველია, კრება დიდხანს მოუნდებოდა „დიდთა წყლულებათა კურნებას“, თუმცა არ ვიცით-კი რამდენი დრო მოახმარა თავის სამკურნალო შრომას, ღვაწლს; მატიანე გვარწმუნებს მხოლოდ, რომ „მრავალი დღე“ და „ფრიადი შრომა“ დასჭირდა კრებასაო: „მრავალ დღე გამოწვლილვითა და ფრიადითა შრომითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომილი განმართეს და კეთილ-წესიერება ყოვლითურთ დაამტკიცეს 18)“.

ნ. ურბნელი

13) დავით აღმაშენებელმა ტფილისი აიღო 1122 წ.

14) აი თვით ეს სიტყვებიც: „არა გვეცვენეთ შენ სიწმიდით, მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო“. სიტყვა „მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო“ ბ-ნს საბინინს მცხეთის ეკლესია ჰგონია... საკვირველი შეცდომაა!

15) მთავარ-ეპისკოპოზს მარტო მცხეთის არხიეპისკოპოზს უწოდებდნენ; მთავარ-ეპისკოპოზი ღირსებით და პატივით მაღლა იდგა სხვა არხიეპისკოპოზებზედ და შემდეგ კათალიკოზისა პირველი ადგილი ეჭირა. მამათ-მთავარი პატრიარქის ღირსებას ჰნიშნავდა; ხშირად საერო კაციც იყო ხოლმე მამათ-მთავრად, მხოლოდ იმას ებარა საეკლესიო ქონების გამგეობა და საეკლესიო გარეგანი მმართველობა. Древ. Тиф., Іосселіани, стр. 78 და 169.

16) სხვათა შორის ღრმა მცოდნე ჩვენის ისტორიისა, ბ-ნი ბაქრაძე, ამ საგანს მოკლედ, მაგრამ მშვენივრად განმარტებს „Тифлисъ въ историческомъ и этнографическомъ отношеніяхъ“, стр. 6 и др.

17) მაგალითებრ, მარტო შიომღვიმეს მონასტერში ორი ათასი ბერი იმყოფებოდა. იხ. Церк. Гудж., стр. 100. ეხლა-კი ეს მონასტერი ცარიელია და გაოხრებული!...

18) ქართლის ცხოვრება, გვ. 242.

სო. კრისპიმ აგრეთვე მოიხსენია, რომ საზოგადო ტარიფის შემოღებას საგნადა აქვს მხოლოდ იტალიის ინტერესის დაცვაო.

**ვენა.** გაზ. „ალმოს. კორრესპ."-ას დაბეჯითებით სწერენ ბერლინიდგან, რომ დარწმუნებულნი არიან, ვითომ ბისმარკი დაიყოლიებს ავსტრიას ბოლგარიის საქმეში, თუ რუსეთი გამოაცხადებს, რა საშუალებაა საჭირო წესიერების დასაცველად ბოლგარიაში დღევანდელის მთავრობის გადაყენების შემდეგაო.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ გუშინ ხელ-მეორედ განიხილა ბოლგარიის საქმე, მაგრამ არავითარიმე გარდაწყვეტილება არ დაუდგენია.

**პარიჟი.** როცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტზე ჰქონდათ ლაპარაკი, მემარჯვენეთა დასის წევრმა, მარკიზ ბრეტეილმა, რომელიც ამას წინად პეტერბურგში იყო, წარმოსთქვა სიტყვა საფრანგეთის პოლიტიკურის მდგომარეობის შესახებ. ბრეტეილმა სთქვა: როცა ჩვენ ძლიერნი ვიქმნებით, მოკავშირენი თვითონ გამოგვიჩნდებიან; მემარჯვენეთა დასი ხელს არ შეუშლის საფრანგეთს, რადგანაც საფრანგეთის ინტერესებს უფრო აფასებს, ვიდრე დასისას: ჩვენ უნდა გვსურდეს, რომ რუსეთზედ იყოს დამოკიდებული ომიცა და მშვიდობიანობაცა. ყოველის შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ, რუსეთს თანაგრძნობა გამოვუცხადოთ და უნდა ვუჩვენოთ, რომ ჩვენ საიმედო, მაგრამ ზომიერი მომხრეები ვართო. დასასრულს ორატორმა სთქვა: ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ქვეყანას, რომ ჩვენი ერი მშვიდობიანობის მსურველი ერია, ხოლო თან არც ომისა ეშინიან და არც ომს გაექცევაო.

პეტერბურგის ბირჟა 16 თებერვ.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი | | გაყიდვებისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო | — | ,, | — | ,, | 10 | |
| ტამოჟნის კუპონები | — | ,, | — | ,, | 197 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | ,, | — | ,, | 1 | 38 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | ,, | — | ,, | 250 | |
| — მეორისა | — | ,, | — | ,, | 234³/₄ | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე 14,

ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თებერვალი 29 დღით არის

19 დღე პარასკევი. მოც. არხიპისა და ფილიმონისა. კათოლ. გობინისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 6—32, ჩადის 5—53. მთვარე 12 დღისაა.

20 დღე შაბათი. მოწ. აგაფონისა და ლეონისა. კათოლ. ეპისკ. ლეონისა. სომ. ყველა წმინდათა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—50, ჩადის 5—54. მთვარე 21 დღისაა.

<>

## გამოსადეგი ცნობანი

ნ ი ხ რ ი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| 2 › | 2¹/₂ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| › » 2— | 3¹/₂ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | › |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 9 | › |
| სუკი | 14 | › |
| ძროხის ხორცი | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

ქ. გორში, სობოროს ქუჩაზედ,
გაიღო
ქართულის წიგნის მაღაზია.

ყველა წიგნის გამომცემელს შეუძლიან გამომიგზავნოს თავისი გამოცემა ჩვეულებრივის კომისიით.

(5—4) კონსტანტინე ცხვედაძე

კავკას. სამეურნეო საზოგადოების
საბაღოსნო სკოლაში
(მუშტაიდის გვერდზე)

ისყიდება სხვა-და-სხვა ხეხილი და სადეკორაციო მცენარენი. ვისაც ჰსურს სია ანუ პრეისკურანტი გასასყიდის ხეხილისა, უსასყიდლოდ გაეგზავნება. (10—2)

კავკასიის პირველი ფაბრიკა ხეზე-წასასმელ ლაქისა, საბეჭდავ ლუქისა და პოლიტურისა.

გვაქვს პატივი გაცნობოთ ბბ-ნს ვაჭრებს და მხმარებლებს ლაქისას, ლუქისას და პოლიტურისას, რომ ჩვენს ფაბრიკას აქვს ყოველ გვარის ღირსებისა და სიკეთის საქონელი, რომელიც არც ერთის სხვა ამ გვარ ფაბრიკის საქონელს არ ჩამორჩება. ფასი ზომიერია. ფაბრიკა მუშტარს დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. თუ მუშტარს შორს სადმე ეგზავნება საქონელი, ფაბრიკა დიდის სიფრთხილით შეახვევს ნასყიდ საქონელს გასაგზავნად თვით მეფაბრიკეს ხელ-მძღვანელობით.

დაწვრილებით ჩვენის საქონლის შესახები ცნობანი მოხსენებულია პრეისკურანტში, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდება და ეგზავნება მსურველთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებლის მუშტრის სურვილს ფაბრიკა დაუყოვნებლივ და დიდის გულ-მოდგინებით ასრულებს.

ადრესი ტფილისის გარეშე მცხოვრებლთათვის:

ТИФЛИСЪ.
Первая Кавказская лаковая, сургучная и политурная фабрика.
*Елизаветинская ул., домъ Читахова, № 25.* (20—18)

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის ასანთებისა,
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—26)

ნამდვილი საუნჯეა
ყველასათვის განთქმული წიგნი
თავის მოვლა
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეს წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlags-Magazin in Leipzig. (50—3)

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

## ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპია | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთ | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 " | 9 " 50» | 5 " | 5 " 25» |
| 10 " | 8 " 75» | 4 " | 4 " 75» |
| 9 " | 8 " —› | 3 " | 3 " 50› |
| 8 " | 7 " 25» | 2 " | 2 " 75› |
| 7 " | 6 " 50» | 1 " | 1 " 50» |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».*

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ.
ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.